ხელშეკრულება №98ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო: *1 მაისი 2018 წლის*

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები.

1.1 ერთის მხრივ თვითმმართველის ქალაქ ფოთის სკოლამდელი სააღრმზდელო გაერთიანება, მისი დირექტორის მარგო ჯანიაშვილის სახით (შემ-დგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, შ.პ.ს "ლაბორატორიული კვლევის ცენტრი", მისი დირექტორის გრიგოლ რუხაძის სახით (ქ. ფოთი, მიქაბერიძის №2 (შემდგომში "მიმწოდებელი") სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის წესის“ მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად აფორმებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას.

2. ხელშეკრულების საგანი

"შემსყიდველი" გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, საქართველოს “სახელმწიფო შესყიდვის კანონის” შესაბამისად ავალებს “მიმწოდებელს” ჩაატაროს N2 სკ/ს დაწესებულებაში სასმელი წყლის ნიმუშის ლაბორატორიული გამოკვლევა ქიმიურ და ბაქტერიოლოგიურ მაჩვენებლებზე ქ.ფოთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებაში. (კოდი CPV71900000)

3 .სამუშაოს წარმოების, ჩაბარებისა და მიღების წესი

3.1 ხელშეკრულების საგანში /პუნქტი№2/ აღნიშნული სასმელი წყლის ანალიზის ჩატარების ჯერადობას, პერიოდულობას და მაჩვენებლების შერჩევას განსაზღვრავს "შემსყიდველი".

3.2 აღებული ნიმუშები დალუქულ მდგომარეობაში წარედგინება ლაბორატო-რიას ნიმუშის აღების აქტთან ერთად.

3.3 ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგებს "მიმწოდებელი" აფორმებს ოქმის სახით და წარუდგენს "შემსყიდველს" ანალიზის დამთავრებისთანავე, მიღება–ჩაბარების აქტთან ერთად.

4. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

4.1 „შემსყიდველი“ იღებს ვალდებულებას სასმელი წყლის ყოველი ნიმუშის მოკლე მიკრობიოლოგიური ანალიზისათვის „მიმწოდებელს“ გადაუხადოს 60 ლარი, შესყიდვის საერთო ღირებულება №2 სკ/ს დაწესებულებაში შეადგენს 60 (სამოცი) ლარს, (კოდი CPV71900000) გამარტივებული შესყიდვის წესით.

4.2 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო;

4.3. ანგარიშსწორება იწარმოებს ეროვნულ ვალუტაში - ლარებში;

4.4. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის "მიმწოდებელი" ვალდებულია წარუდგინოს "შემსყიდველს" ანგარიშ ფაქტურა (ინვოისი) შესრულებულ სამუ-შაოზე.

4.5. ანგარიშსწორება იწარმოებს "მიმწოდებლის" მიერ საბუთების წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმალობაში.

5. საქონლის მიწოდების ვადები

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება 2018 წლის 18 მაისის ჩათვლით.

65. მხარეთა ვალდებულებები

6.1 მხარეები პასუხიმგებლები არიან აღებული ვალდებულებების შესრულებაზე.

6.2 "მიმწოდებელი" ვალდებულია ინფორმაციის კონფედენციალურობის დაცვაზე.

6.3 მხარეებს შორის სადაო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმების საფუძ-ველზე, ან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.4 ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მეორე მხარეს უნდა ეცნობოს ხელშეკრულების გაწყვეტის ვადამდე 10 (ათი) დღით ადრე.

7. სხვა პირობები

7.1 ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების შესრულება ან ცვლილების შეტანა უნდა მოხდეს მხარეთა წერილობითი ურთიერთშეთახმებით.

8. სანქციები

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის "შემსყიდველს" ეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი მომსახურების ღირებულების 0,2%.

8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის "მიმწოდებელს" ეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი მომსახურების ღირებულების 0,2%.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელის მოწერისთანავე და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს 2018 წლის 18 ივნისის ჩათვლით.

10. დამატებითი პირობები

10.1 ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად ქართულ ენაზე. ორივე ეგზემპლარი იდენტურია, აქვთ თანაბარი ძალა და ინახება ორივე მხარესთან.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები, საბანკო
რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი"
ს.ს. „ლიბერთი ბანკი"
ბ/კ № LBRTGE22
ს/კ №215139589
თვითმმართველი ქალაქ ფოთის
სკოლამდელი სააღმზრდელო
გაერთიანების დირექტორი

მარგო ჯანიაშვილი

„მიმწოდებელი"
ს.ს. „ლიბერთი ბანკი"
ა/ა № GE12LB0113140194132000
ს/კ №215139348 ბ/კ № LBRTGE22
შპს „ლაბორატორიული კვლევის ცენტრი"
დირექტორი

გრიგოლ რუხაძე

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის

ქალაქ ფოთი

1 მაისი 2018 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის I თავის მე-8 მუხლის შესაბამისად ვადასტურებთ, რომ რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელ შპს „ლაბორატორიული კვლების ცენტრის" მიმართ.

,,შემსყიდველი''
თვითმმართველი ქალაქ ფოთის სკოლამდელი
სააღმზრდელო გაერთიანება

გაერთიანების დირექტორი მარგო ჯანიაშვილი

215139589

მთავარი სპეციალისტი
დავით დარჩია

მიღება-ჩაბარების აქტი 1

თვითმმართველი ქალაქ ფოთი

16 მაისი 2018 წელი

ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი "თვითმმართველი ქალაქ ფოთის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება", მისი დირექტორის მარგო ჯანიაშვილის, მთავარი სპეციალისტის დავით დარჩიას სახით (შემდგომში ,,შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შ.პ.ს "ლაბორატორიული კვლევის ცენტრი", მისი დირექტორის გრიგოლ რუხაძის სახით (შემდგომში ,მიმწოდებელი") ვადასტურებთ, რომ მიმწოდებელმა შემსყიდველს 2018 წლის 1 მაისის N98ა ხელშეკრულების თანახმად, შ.პ.ს "ლაბორატორიული კვლევის ცენტრი" -ს მიერ შესრულებული იქნა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

შესრულებელი მომსახურების ღირებულება შეადგენს *60 (სამოცი)* ლარს, გადასახადებისა და სხვა ხარჯების ჩათვლით.

„შემსყიდველი"
ს.ს. „ლიბერთი ბანკი"
ბ/კ № LBRTGE22
ს/კ №215139589
თვითმმართველი ქალაქ ფოთის
სკოლამდელი სააღმზრდელო
გაერთიანების დირექტორი

მარგო ჯანიაშვილი

„მიმწოდებელი"
ს.ს. „ლიბერთი ბანკი"
ა/ა № GE12LB0113140194132000
ს/კ №215139348 ბ/კ № LBRTGE22
შპს „ლაბორატორიული კვლევის ცენტრი"
დირექტორი

გრიგოლ რუხაძე

მთავარი სპეციალისტი
დავით დარჩია